პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
21
ოქტომბერი
№ 248
(16678)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მეცნიერული კომუნიზმის ავანგარდს, მუშათა კლასის, მთელი შრომელი ხალხის ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ერთიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შეოცდამეხუთე პარტიის ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“

სკკპ XXV ყრილობამ, ნათქვამია დადგენილებაში, აღნიშნა, რომ ამაღლდა საბჭოთა ხელოვანი ინტელიგენციის, მათ შორის ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობა. ახალგაზრდა ლიტერატორებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის მუშაკებმა უკანასკნელ წლების მანძილზე შექმნეს ნაწარმოებები, რომლებიც საზოგადოებრივი აღიარება დაიმსახურეს. შემოქმედებითი ახალგაზრდობა ცხოველ ინტერესს იჩენს თანამედროვეობის პრობლემებისადმი, ცდილობს გადაწყვიტოს ხელოვნების რთული ამოცანები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულ ორგანიზაციებს, კომკავშირს, კულტურის ორგანოებსა და შემოქმედებითს კავშირებს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება აქვთ. სწავლებისა და აღზრდის ამჟამად შექმნილი სისტემა ძირითადად უზრუნველყოფს ღირსეული ცვლის მოხვლას მხატვრული კულტურის სფეროში.

ნმავე დროს კომუნისტურ მშენებლობაში ლიტერატურისა და ხელოვნების როლის ამაღლება, ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა ფილოსოფიური მუშაობის დარგში, მოითხოვენ, რომ პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შემოქმედებითი ახალგაზრდობის პროფესიულ და ფილეურ აღზრდას.

ახალგაზრდა ლიტერატორებთან, კინემატოგრაფისტებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, მსახიობებთან მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელსა და სასწავლებელში არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომ გაუმჯობესონ სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობა, აქტიურად ჩამოუყალიბონ სტუდენტებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, საფუძვლიანად დაეუფლონ ისინი პროფესიულ ოსტატობას, აათვისებინონ საბჭოთა და მსოფლიო კულტურის გამოცდილება, სპეციალური საგნებისა და საზოგადოებრივი დისციპლინების სასწავლებლად საკმარისად არ იწვევენ მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ოსტატობის დაუფლებას ორგანულად შეუხამონ მაღალი იდეური და ზნეობრივი თვისებების ჩანერგვა, გაალვიძონ ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტიურობა, ხელი შეუწყონ შემოქმედებით ინდივიდუალობათა ჩამოყალიბებას. პარტიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ჭეროვნად სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამხატვრო სასწავლებლებში სასწავლო და აღზრდელობითი მუშაობის სპეციფიკას. ზოგიერთი სასწავლებლის მატერიალური ბაზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შემოქმედებითი კავშირები და კულტურის ორგანოები არ იჩენენ საჭირო ზრუნვას სამხატვრო სასწავლებლების საქმეთნობის გაუმჯობესებისათვის, კურსდამთავრებულთა პროფესიული ზრდისა და დასაქმებისათვის, სპთანადო ყურადღებას არ უთმობენ ახალგაზრდობას, რომელიც კავშირებში არ არის გაერთიანებული. ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებს ნაკლებად ასახელებენ შემოქმედებითი კავშირების არჩევითს ორგანოებში, ლიტერატურულ-მხატვრულ გამოცემათა რედკოლეგიებს, გამოფენათა კომიტეტებს, სამხატვრო საბჭოების შემადგენლობაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც კულტურულ მშენებლობაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდა ხელოვან ინტელიგენციასთან მუშაობას, ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხატვრო და საოლქო კომიტეტებს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაონ შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეური და პროფესიული აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა და ამისათვის იხელმძღვანელონ დებულებებით, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე.

ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებთან მთელ მუშაობას, ხაზგასმულია დადგენილებაში, საფუძვლად უნდა ედოს ის, რომ მთლიან გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულება შეხამებული იყოს მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან. უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი, დავეხმაროთ მას თავისი ნიჭის გამოვლინებაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით დღენიადაგ განვამტკიცოთ და გავამრავალფეროვნოთ ახალგაზრდა ხელოვანი ინტელიგენციის კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა, დავავალოთ ახალგაზრდებს საინტერესო საქმეები, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად. უნდა ვიზრუნოთ სამხატვრო სასწავლებლების მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და იდეური აღზრდისათვის, მათი საქმიანი და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

უნდა გავაძლიეროთ შემოქმედებითი კავშირების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლექტივებისა და სასწავლებლების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა. სრულყოფილ სკკპ რიგებში ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მიღების პრაქტიკა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელნომ, სსრ კავშირის სახგამომმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, თეატრალურმა საზოგადოებებმა, ნათქვამია დადგენილებაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდობასთან მუშაობას, მისი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საჭირო პირობების შექმნას, იზრუნონ იმისათვის, რომ შემოქმედებითი კავშირების რიგებს ნიჭიერი ახალგაზრდობა შეემატოს.

რეკომენდებულია მხარი დაუჭიროს შემოქმედებითი კავშირების ინიციატივას იმ საკითხში, რომ შეიქმნას ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოები (კომპაციები) და გაფართოვდეს მისი წარმომადგენლობა პერიოდული გამოცემების — კულტურის დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების ორგანოების სარედაქციო კოლეგიებში, გამოფენათა კომიტეტებში, სამხატვრო და სარედაქციო საბჭოებში. ხელმძღვანელ ორგანოებმა; ნაბიჯ ახალგაზრდობასთან მუშაობაში ლიტერატურისა და ხელოვნების ავტორიტეტული ოსტატები; უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში თეორიული სემინარები, შემოქმედებითი თათბირები, დისკუსიები.

სამინისტროებსა და უწყებებს დაეკვალთ შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც თვალისწინებენ კულტურის დარგის სპეციალისტთა მომზადებას ქვეყნის მოთხოვნილებათა შესაბამისად, უმაღლეს და საშუალო სამხატვრო სასწავლებლებში მიღების ნოწესრიგებას, მათი მატერიალური ბაზის თანამიმდევრულ განვითარებასა და განმტკიცებას, ინსტიტუტებთან სასწავლო თეატრების, ხელოვნ. სტუდიების, საგამოფენო დარბაზების, სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების შექმნას, სასწავლებლებთან (მათ შორის ინტერნატებთან) მოსამზადებელ განყოფილებათა ქსელის გაფართოებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და სოლქო საბჭოებს, მოსკოვის საბჭოსა და ლენინგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ორგანიზაციებთან ერთად გაუმჯობესონ საგამოფენო საქმიანობა ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედების უფრო ფართოდ ჩვენების მიზნით; გაითვალისწინონ 1976-1980 წლებში დამატებითი საგამოფენო შენობების გამოყოფა ქალაქ მოსკოვში; გაუფართოონ მხატვართა სახელოსნოების მშენებლობა ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში.

სსრ კავშირის სახგამომმა და შემოქმედებითს კავშირებს წინადადება მიეცათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა პროზაიკოსების, პოეტების, ნარკვევების მწერლების, დრამატურგების, კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებების პუბლიკაციას, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვართა ალბომების გამოცემას. რეკომენდებულია გაავრცელონ ლიტერატურულ-მხატვრული ყურნალების სარედაქციო კოლეგიებისა და იმ გამომცემლობების გამოცდილება, რომლებიც უშვებენ წიგნების სერიებსა და ყურნალების ნომრებს, რომლებშიც ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებია გამოქვეყნებული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლდეს ყურნალების „იუნი ხუდოჟნიკის“ და „ლიტერატურნაია ეუობა“ გამოცემა.

ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკთა იდეურ-შემოქმედებითი ჩამოყალიბებისათვის დახმარების გაწევის მიზნით დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის „შეიქმნას „მოსფილმის“ სტუდიის ბაზაზე ახალგაზრდობის ექსპერიმენტული შემოქმედითი გაერთიანება; მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა დიდ კულტურულ ცენტრებში სახვით ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატთა ხელმძღვანელობით სამეფონგალგარშიანი სახელოსნოები შეიქმნას სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემაში ახალგაზრდა მხატვრებისათვის; გაიზარდოს ყოველწლიური ასიგნებანი ახალგაზრდა მხატვართა, დრამატურგთა და კომპოზიტორთა ნამუშევრების შეკვეთებისა და შეძენისათვის; დაწესდეს სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის ოქროსა და ვერცხლის მედლები და მედალსტებს მიეცეთ თვალსაჩინო ოსტატებთან სტაჟირებისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებების უფლება; მოეწყოს ქვეყნის თეატრებში მეცადინეობა პროფესიულ დასტატებაში (სასცენო მეტყველება, ვოკალი, ცეკვა და სხვ.).

ცენტრალური და ადგილობრივი ყურნალ-გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის სახგამკომს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახკინოს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების, თეატრისა და კინოს რეჟისორების შემოქმედების პროპაგანდა, რეგულარულად გამოაქვეყნონ მათი ნაწარმოებები და რეცენზიები ამ ნაწარმოებთა შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში სამოგზაურო

20 ოქტომბერს მოსკოვიდან ალმა-ათაში გაემგზავრა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის **იუმჟაგინ ცედენბალის** მეთაურობით.

მეიმე სოციალისტური ქვეყნის დელეგაციის გასაცილებლად დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე შეიკრიბა ათასობით მოსკოველი. კრემლიდან აეროდრომისაკენ მიმავალ გზაზე მოსკოველები გულთბილად ესალმებოდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ცედენბალს, ნ. ვ. პოდგორნს, ა. ნ. კოსიგინს, ჟ. ბატმუნეს,** სხვა საბჭოთა და მონგოლ ხელმძღვანელებს.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის უფროსმა უპატაჟა ამხანაგ ი. ცედენბალს. შესრულდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა ჩამოიარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

საზეიმო ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის გავლით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **თ. დ. კულაკოვი** გულთბადად, ძმურად გამოეთხოვენ თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ **ი. ცედენბალს,** დელეგაციის წევრებს.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ამხანაგი **ი. ცედენბალი** მეთაურობს, იმყოფება ალმა-ათაში. აეროპორტში დელეგაციის დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. ა. კუნაევი,** ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. ეშმოვი,** სხვა ოფიციალური პირნი.

მეიმე ქვეყნის წარმომადგენლებს გულითადად მიესალმნენ ყაზახეთის დედაქალაქის მშრომელები. (საკადრისი).

გუშინ თბილისში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“. ხურათზე: კონფერენციის სხდომის დარბაზი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებას — პარტიული ზრუნვა და ყურადღება

20 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“, რომელიც მოაწყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, რომლებიც იდეოლოგიის საკითხებს განაგებენ, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოების სარედაქციო კოლეგიებში, გამოფენათა კომიტეტებში, სამხატვრო და სარედაქციო საბჭოებში, ხელმძღვანელ ორგანოებში; ნაბიჯ ახალგაზრდობასთან მუშაობაში ლიტერატურისა და ხელოვნების ავტორიტეტული ოსტატები; უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში თეორიული სემინარები, შემოქმედებითი თათბირები, დისკუსიები.

სამინისტროებსა და უწყებებს დაეკვალთ შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც თვალისწინებენ კულტურის დარგის სპეციალისტთა მომზადებას ქვეყნის მოთხოვნილებათა შესაბამისად, უმაღლეს და საშუალო სამხატვრო სასწავლებლებში მიღების ნოწესრიგებას, მათი მატერიალური ბაზის თანამიმდევრულ განვითარებასა და განმტკიცებას, ინსტიტუტებთან სასწავლო თეატრების, ხელოვნ. სტუდიების, საგამოფენო დარბაზების, სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების შექმნას, სასწავლებლებთან (მათ შორის ინტერნატებთან) მოსამზადებელ განყოფილებათა ქსელის გაფართოებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და სოლქო საბჭოებს, მოსკოვის საბჭოსა და ლენინგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ორგანიზაციებთან ერთად გაუმჯობესონ საგამოფენო საქმიანობა ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედების უფრო ფართოდ ჩვენების მიზნით; გაითვალისწინონ 1976-1980 წლებში დამატებითი საგამოფენო შენობების გამოყოფა ქალაქ მოსკოვში; გაუფართოონ მხატვართა სახელოსნოების მშენებლობა ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში.

სსრ კავშირის სახგამომმა და შემოქმედებითს კავშირებს წინადადება მიეცათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა პროზაიკოსების, პოეტების, ნარკვევების მწერლების, დრამატურგების, კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებების პუბლიკაციას, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვართა ალბომების გამოცემას. რეკომენდებულია გაავრცელონ ლიტერატურულ-მხატვრული ყურნალების სარედაქციო კოლეგიებისა და იმ გამომცემლობების გამოცდილება, რომლებიც უშვებენ წიგნების სერიებსა და ყურნალების ნომრებს, რომლებშიც ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებია გამოქვეყნებული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლდეს ყურნალების „იუნი ხუდოჟნიკის“ და „ლიტერატურნაია ეუობა“ გამოცემა.

ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკთა იდეურ-შემოქმედებითი ჩამოყალიბებისათვის დახმარების გაწევის მიზნით დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის „შეიქმნას „მოსფილმის“ სტუდიის ბაზაზე ახალგაზრდობის ექსპერიმენტული შემოქმედითი გაერთიანება; მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა დიდ კულტურულ ცენტრებში სახვით ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატთა ხელმძღვანელობით სამეფონგალგარშიანი სახელოსნოები შეიქმნას სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემაში ახალგაზრდა მხატვრებისათვის; გაიზარდოს ყოველწლიური ასიგნებანი ახალგაზრდა მხატვართა, დრამატურგთა და კომპოზიტორთა ნამუშევრების შეკვეთებისა და შეძენისათვის; დაწესდეს სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის ოქროსა და ვერცხლის მედლები და მედალსტებს მიეცეთ თვალსაჩინო ოსტატებთან სტაჟირებისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებების უფლება; მოეწყოს ქვეყნის თეატრებში მეცადინეობა პროფესიულ დასტატებაში (სასცენო მეტყველება, ვოკალი, ცეკვა და სხვ.).

ცენტრალური და ადგილობრივი ყურნალ-გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის სახგამკომს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახკინოს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების, თეატრისა და კინოს რეჟისორების შემოქმედების პროპაგანდა, რეგულარულად გამოაქვეყნონ მათი ნაწარმოებები და რეცენზიები ამ ნაწარმოებთა შესახებ.



ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ა. ჰამერი

20 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** კრემლში მიიღო ამერიკის საქმიანი წრეების ცნობილი წარმომადგენელი **არმანდ ჰამერი,** რომელიც მრავალი წელია აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში.

საუბრის დროს **ლ. ი. ბრეჟნევმა** ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ადგას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანასწორუფლებანი, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების კურსს და, ეერთად, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სერიოზულ ეკონომიურ ურთიერთობას საერთოდ მისი სტაბილურობისათვის ორივე ქვეყნის ხალხებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საკითხიდან.

საქმე რომ სწორედ ამ მიმართულებით წარმართოს, ცხადია, საჭიროა ორივე მხარის სურვილი და ორივე ქვეყნის ღონისძიებანი.

ა. ჰამერი დაეთანხმა ამ თვალსაზრისს და აღნიშნა, რომ ამერიკის საქმიან წრეებს სურთ გააფართოონ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა და სხვა ეკონომიური ურთიერთობა.

საუბარმა საქმიან და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი.**

გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი

ზეიმების, ღირსშესანიშნავი მოვლენების დღეებში საბჭოთა ადამიანები მიდიან ხოლმე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან, რათა გამოხატონ შეელური სიყვარულისა და ერთგულების გრძნობები გენიალური ბელადისადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი. ეს ღრმად სიმბოლურია: კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მაღალ მიზნებს, თავიანთ გეგმებს, საქმეებსა და იმედებს საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ ლენინის სახელს.

20 ოქტომბერს განახლებული წარუდგა თბილისელებს რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარი მოედანი — იგი მორთული იყო 15 მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ყვავილებით. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის დაწყების წინ აქ მოვედნენ მისი მონაწილენი.

იცვლება საპატიო ყარაული. ლენინის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. წითელ ლენტზე ოქროს ასოებით წარწერილია: „ლენინს — სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებისაგან“.

(საქინფორმი.)

* * *

სურათზე: საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი გვირგვინით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

(დასასრული მე-2 გვ.)

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციიდან

ხურათზე: საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ნ. სემენიუკი (უკრაინეთი), ბ. ფუმაგალიევი (ყაზახეთი), ბ. ახუნძიანოვი (აზერბაიჯანი), ნ. ტუეშელაშვილი და ა. ეგრალიძე (თბილისი).

ფოტო ბ. ბინზბურგის.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებას — პარტიული ზრუნვა და ყურადღება

(დასასრული)

XXV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. ამ დადგენილებას დიდი საერთო-პარტიული მნიშვნელობა აქვს. ამ დოკუმენტში გაანალიზებულია არსებითი პოზიტიური ძვრები.

მაღალი შეფასება ეძლევა მუშაობას, რომელიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია. აქ წამოყენებულია პრინციპული დებულებებიც, რომლებიც აკონკრეტებს და ავითარებს სკკპ XXV ყრილობის იმ მითითებებს, თუ რა საფუძვლიანად და რა ფართო მასშტაბით უნდა წარიმართოს ეს მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მოიწვია პლენუმი და დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებანი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს დოკუმენტი აღიქვეს როგორც რესპუბლიკის მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი.

უნდა აღინიშნოს ერთი, რომ სხვა პარტიული ორგანიზაციებიც ახორციელებენ ახალ შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების ახალ ღონისძიებებს. სკკპ XXV ყრილობის შემდეგ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბიუროს სხდომებზე მოისმინა რესპუბლიკის ბევრი პარტიული კომიტეტის, მათ შორის ანდიჯანის საოლქო კომიტეტის ანკარიშები ინტერნაციონალური აღზრდის პრაქტიკის შესახებ; მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის პრობლემებზე. წელიწადის ბოლოს ლატვიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდის ეროვნული ფორმების, ეროვნული ენების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფერწერული ხელოვნების, ეროვნული ფოლკლორის, ეროვნული ბალეტის, ეროვნული ოპერეტის, ეროვნული ოპერის, ეროვნული ფილარმონიის, ეროვნული ბიბლიოთეკების, ეროვნული ენციკლოპედიების, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონების, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონების, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონ

ქრონიკა

საკდესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები პრობლემები

ბულგარელი კუბლიცისტის თვალით

მეგობრობა აგვამაღლებს

თითქმის ორი ათეული წელია, რაც ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა საბჭოთა კავშირთან მაკავშირებს. ამ წლების განმავლობაში ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე გავხდი, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს არა მარტო სოციალიზმის ამ დიდ ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ჩემ თვალწინ ამოვქმედდა კრასნოიარსკის ექვსი მილიონი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, ჩაირთო ლენინგრადის ატომური ელექტროსადგურის ენერგობლოკები, ენისეის დინება საიან-შუშენსკის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალმა გადახიდა. ამ თვითეული 640 ათასი კილოვატი სიმძლავრის ათი აგრეგატია — თითქმის ათი ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგური ერთად აღებული.

მე მრავალი თვალსაჩინო სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტის მოწმე ‘ვიყავი. ეს იყო ხელოვნური თანამგზავრების თუ საკოსმოსური ავტომატური სადგურების გაშვება, „სოიუზ“-„ამორნინის“ ერთობლივი ფრენა თუ ვენერას ზედაპირის ფოტოგრაფირება.

მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვდა ფოლადის, ხელოვნური სასუქების, ნავთობის მოპოვების მხრივ.

მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ის არის, რომ ყველა მიღწევა ადამიანის კეთილდღეობის ემსახურება. საგრძნობლად ამაღლდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე. 56 მილიონმა მოკალაქემ გაიუმჯობესა საბინაო პირობები. საბჭოთა ადამიანების კულტურის დონე ყველაზე განვითარებული ქვეყნების ხალხებსაც კი შეშურდებათ. მე ენახე ეროვნული ბალეტი ბაქოში, სამარყანდში, ფრუნზეში, ყაზანში. დავესწარი განსაცვიფრებელ კონცერტებს მინსკში, თბილისში, ერევანში, კიშინიოვში, ტალინში, მაგნიტოგორსკში, სადგერნე (ბაში) მომავალ „პრიმაფორიზე“ იაპონის ზღვაში, და ყოველთვის მოიცებდა არა მარტო მონაწილეთა საშემსრულებლო ოსტატობა, არამედ სოციალისტური ხელოვნების ღრმა ცხოვრებისეული სიმართლე...

მე მაგონდება ივანოვოელი ფეიქარი ქალის ა. სმირნოვას სიტყვები: „ახლანდელი საბჭოთა მუშა ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი და შემოქმედია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს წარმოების მართვაში... უსაზღვრო ბედნიერებაა, როცა თავს საბჭოთა მუშათა კლასის ნაწილად გრძნობ“.

სწორედ ეს ბატონ-პატრონები, მთელი საბჭოთა ხალხი ახდენენ სასწაულებს, ახდენენ იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანეს ღრმად სწამთ კომუნისტური სიმართლე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და მისი პრაქტიკული საქმეების სისწორე.

ზრომისმოყვარე საბჭოთა ხალხს თავის მიღწევებთან ერთად, არანაკლებ ახარებს სხვა ძოძმე ხალხების წარმატებები ახალი ცხოვრების მშენებლობაში. იგი შუადმბად ბრის უანგარო დახმარება გაუწიოს სამართლიანობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლ ხალხს.

ამის მაგალითები არა ერთი და ორია. სწორედ მომმე საბჭოთა ხალხი დაეხმარა ბულგარელ ხალხს მონარქიულ-ფაშისტური და კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებაში!

სწორედ მისი დახმარებით შეეძელით ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძნელბედობის ჟამს ომისაგან მოყენებული ჭრილობების მოშუშება, ფეხზე წამოდგომა და სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დადგომა!

და თუ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა, თუ ჩემი სამშობლო გაზაფხულის ბაღივით აყვავდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვენის დიდ გარდაქმნებს საფუძველად უდევს უდიდესი ძმური დახმარება, მდიდარი საბჭოთა გამოცდილება, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა. სიმბოლურია, რომ სიტყვა მეგობრობა რუსულ და ბულგარულ ენებზე ერთნაირად იწერება, გამოთქმის და ჟღერს.

ბულგარეთის ოცდარვაეე ოლქს, თითქმის ქალაქსა და ასობით სოფელს, მრავალი საწარმოს, დაწესებულების და სკოლის კოლექტივებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული სსრ კავშირის მხარეებთან და ოლქებთან, ქალაქებთან და სოფლებთან, ქარხნებთან, სამეცნიერო ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან, ეს ურთიერთკავშირი ყოველთწლობით ღრმავდება და ულ უფრო კონკრეტული, ნაყოფიერი ხდება.

ჩვენი ახალი მეშვიდე ხუთწლედი ახალ მიჯნებს საზავს, რომელთა დაძლევის სრული რწმენა გვაქვს და ამის საწინდარია სსრ კავშირთან თანამშრომლობა, ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა. იგი კიდევ უფრო განმტკიცდება, ვინაიდან როგორც ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა აღნიშნა, დღეს თვითეული ბულგარელისათვის თავისი სამშობლოს და საბჭოთა კავშირის სიუკარული განუყოფელია.

ხრისტო კონსულოვი,
ბულგარელი პუბლიცისტი.

დაკვცვათ მშვიდობა, უშიშროება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის გამო

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ამოცანა, ისევე როგორც მისი შექმნის მომენტში, არის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის აქ გავრცელებულ წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის — 24 ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აღნიშნულია წერილში — უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმია, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ არსებული პრობლემები და უთანხმოებანი, თავიდან ავიცილოთ კონფრონტაციები და დავსახოთ მომავალი თანამშრომლობის გზები. თავის 31-ე წლისთავზე, აღნიშნულია დოკუმენტში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წარმოადგენს აღიარებულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრია 145 სახელმწიფო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილი შეიცავს მოწოდებას ორგანიზაციის ყველა წევრისადმი აამაღლონ მისი ეფექტიანობა და მისი დადებითი ზეგავლენა საერთაშორისო კლიმატზე. დარწმუნებული ვარ, ხაზს უსვამს კ. ვალდჰაიმი, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი შეიგნებს საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას და მზარს დაუჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს მშვიდობის, სამართლიანობისა და პროგრესის უზრუნველყოფის საქმეში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის თავმჯდომარის ხ. შ. ამერასინგჰეს წერილში ხაზგასმულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდებულია აქტიურად ეცადოს კონფლიქტების თავიდან აცილებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მსოფლიოს ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას.

ტაილანდი — რეპრესიები, ძალადობა

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის პრესა, რომელიც ამოწმებს თავისი ბანგკოკელი კორესპონდენტების ცნობებს, წერს, რომ ტაილანდში გრძელდება მასობრივი დაპატიმრებანი და ჩხრეკა. სამხედრო ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ეძებენ გაერთიანებული სოციალისტური ფრონტის პარტიის თავმჯდომარეს კ. ნორაპატს, ტაილანდის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს ს. სისანგკომს, სტუდენტთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ვ. საკჭირაპაპკონგსი და ქვეყნის პროგრესული და დემოკრატიული ორგანიზაციების ზოგიერთ სხვა ლიდერს.

ბანგკოკში კვლავ კომენდატის საათი მოქმედებს. ქალაქში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დახურულია სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. მმართველმა სამხედრო ხუნტამ, რომელიც მოსახლეობის დაპირდა სკოლებში მეცადინეობის განახლებას, გაფრთხილა, რომ რაიმე პოლიტიკური დისციპლინის, მათ შორის „ბერტუანიული დემოკრატიის“ თეორიის სწავლებაც კატეგორიულად იკრძალება, რათა მოსწავლეებს საშუალება არ ჰქონდეთ გაკვეთილებზე აღძრან საკითხები, რომლებიც „მტრულ იდეოლოგიას“ შეეხება.

სამხედრო ხელისუფლებმა ნება დართეს გამოსულიყო ზოგიერთი უკიდურესი მემარჯვენე გაზეთი. საინსტრუქტაჟო თათბირზე ხუნტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრესა მტკიცედ უნდა იდგეს „შეურიგებელი ანტიკომუნიზმის პოზიციებზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაბეჭდი გამოცემები აიკრძალება, დამნაშავეებს კი დასჯიან სამხედრო წესების შესაბამისი კანონებით.

ლონდონი, (საკდესი). ინგლისური „გარდიანი“ წერს, რომ ტაილანდის გადატრიალება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოამზადა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოგენტთა ხელმძღვანელობით, წერს გაზეთი, ქვეყანაში შეიქმნა ნახევრად სამხედრო ტიპის „მოიერიშე რაზმები“. მათი მოქმედება მიმართული იყო დემოკრატიული, პროფკავშირული და სტუდენტური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამას მოჰყვა სამხედრო გადატრიალება.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

თეირანი, (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1976-1980 წლებში სსრ კავშირსა და ირანს შორის საქონელბრუნვის შესახებ. ახალი შეთანხმების თანახმად 1980 წლისათვის ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით ორჯერ გაიზრდება წინა ხუთწლეულთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი გაიფართოებს ირანისათვის მიწქონებისა და მოწყობილობის, ქიმიური და სხვა საქონლის მიწოდებას. ირანი, თავის მხრივ, გაადიდებს სსრ კავშირში ფირთო მოხმარების საქონლის, სოფლის მეურნეობისა და სამთამადნო მრეწველობის პროდუქციის შემოტანას.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, ირანის მხრივ — ირანის ვაჭრობის მინისტრმა მ. თაჰლიმიმ.

საქმდესი

ყველა კონსტინენტიდან

საკონსულტაციო თათბირი

● სოფია. ვარნაში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლთა მეორე საერთაშორისო საკონსულტაციო თათბირი, რომელიც მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემებს მიეძღვნა. მის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

მზადება არჩევნებისათვის

● პარიზი. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო მზადება მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება. ფრანგი კომუნისტების აქ გამართულ კონფერენციაზე მოიწონეს დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება კონტრაქტი კომუნების საქმიანობის შესახებ. ამგვარად პარტიამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბრძოლას მუნიციპალური საბჭოების უფლებათა გაფართოებისათვის, საცხოვრებელი ბინების, ტრანსპორტის, დასაქმების, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების პრობლემათა გადაწყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობისათვის.

გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა

● თეირანი. აქ გაიხსნა მეოთხე საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს 45 ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ავსტრია, ალჟირი, ინდოეთი და სხვ.

სესია დამთავრდა

● ლუქსემბურგი. აქ დამთავრდა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული ევროპის ქვეყნების გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს ორდღიანი სესია. „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მინისტრებმა ბევრ განხილულ საკითხზე ვერ მიიღეს კონკრეტული გადაწყვეტილებები. კერძოდ, ვერ გადაწყდა თევზჭერის პრობლემა, რომელიც „ცხრეულის“ პარტნიორების მწვავე უთანხმოების მიზეზად იქცა.

ბესარიონ ჟღენტი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა გამოჩენილი კრიტიკოსი და ხაზოვადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბესარიონ (ბესო) დავითის-ძე ჟღენტი.

განუზომელია ის ლვაწლი, რაც ბესარიონ ჟღენტმა დასდო ქართული საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს. იგი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსების დღიდან მისი ერთ-ერთი მესვეური იყო და ორმოცდაათ წელზე მეტხანს ერთგულად, დაუღალავად ილვწოდა მშობლიური საბჭოთა კულტურის ზრდისა და წინსვლისათვის.

ფართო და შრავალმხრივმა ერუდიციამ, უტყუარმა ალღომ და დიდმა გემოვნებამ, ბრწყინვალე ორატორულ ნიჭთან ერთად ბ. ჟღენტს დიდი ავტორიტეტი, საყოველთაო სიყვარული და პოპულარობა მოუპოვა.

ბ. ჟღენტის — ჭეშმარიტი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის სახელი ერთნაირად ძვირფასი იყო ყველასათვის, ვინც მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წინსვლითა და წარმატებით არის დაინტერესებული.

როგორც სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ბ. ჟღენტი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო სამწერლო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებაში.

ბესარიონ ჟღენტი დაიბადა 1903 წლის 14 ივლისს სოფელ ქვაციხეში (ქაათურის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება ქვაციხის დაწყებით სკოლაში მიიღო. 1913 წელს იგი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შევიდა, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

1922 წლიდან 1926 წლამდე ბესარიონ ჟღენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი, ლიტფონდის დირექტორი. 1925 წელს ჟურნალ „მნათობის“ 1-2 ნომერში დაიბეჭდა ბ. ჟღენტის პირველი ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული მიმოხილვა „ქართული მწერლობა 1924 წელს“. ამ დროიდან მისი ნაწერები, მიმოხილვები, ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები საბჭოთა და კლასიკური ლიტერატურის საკითხებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე. როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში, მოძმე რესპუბლიკების პერიოდიკის ფურცლებზე.

ბ. ჟღენტი დაუღალავად იბრძოდა კომუნისტური პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის მაღალ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, ლიტერატურის იდეურობის, ხალხურობისა და ესთეტიკური სრულფასოვნებისათვის — სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ბესო ჟღენტი მარტო მთავარი ლიტერატურული მოვლენებისა კი არა, მთელი ჩვენი კულტურული ცხოვრების ცენტრში იდგა. ის მუდამ იქ იყო, სადაც უმნიშვნელოვანესი ძვრები ხდებოდა, სადაც იბადებოდა, ფრთებს შლიდა და თავის განუმეორებელ ბერს იძენდა საბჭოთა საქართველოს ხელოვნება.

დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ბესო ჟღენტი ხახვითი ხელოვნების, ეროვნული კინემატოგრაფიის და განსაკუთრებით თეატრალური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

ბ. ჟღენტი მრავალი წლის მანძილზე, ეწეოდა მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის ისტორიის სექციას, ხელმძღვანელობდა საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებას. ბ. ჟღენტი არჩეული იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოში, მუშაობდა პრობლემაზე: „მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი კანონზომიერებანი თანამედროვე ეპოქაში“. იგი ჰ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მთავარი რედაქციის წევრი, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეცნიერული კონსულტანტი და „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. მასვე ეკუთვნის ამიგამოცემებში შესული ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ დაწერილი წერილები.

ბ. ჟღენტი მარტოოდენ მემატიანე როდი იყო ჩვენი მწერლობისა. 20-იანი წლებიდანვე თვითონ იყო ახლის მშენებელი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე. ლიტერატურული ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს, რომელმაც ნიჭიერი მწერლების მთელი თაობა შემატა თანამედროვე ქართულ მწერლობას.

ბ. ჟღენტს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქართული საბჭოთა მწერლობის თითქმის ყველა თაობასთან, აგრეთვე მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ხაუკეთესო წარმომადგენლებთან. იგი უაღრესად გულისხმიერი და მზრუნველი მეგობარი იყო. ბევრ მის თანამოკალმეს, ხელოვანს, კულტურის მუშაკს, სტუდენტობას, ახალგაზრდა მეცნიერს ეხსომება ჟღენტის ამაგი და მზრუნველობა.

ბ. ჟღენტის სამწერლო და საზოგადოებრივი ღვაწლი დიდად დაფასებულ პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, მწერალი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად.

გამოჩენილი კრიტიკოსისა და ხაზოგადო მოღვაწის, გულწრფელი პატრიოტი-ინტერნაციონალისტის ბესო ჟღენტის სახელი მუდამ იცოცხლებს მადლიერი ხალხის მეხსიერებაში.

ბ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, თ. მოსაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, შ. შარტავა, ე. შევარდნაძე, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, ნ. ჭითაია, ს. ხაბეიშვილი, გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ა. ალექსიძე, ზ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, ნ. დუმბაძე, ო. თაქთაქიშვილი, გ. ლობჟანიძე, ი. ნონეშვილი, გ. ჯიბლაძე.

კალმით და სიტყვით სახელგანთქმული

მეტად მძიმეა თქმა ამისა, მაგრამ დღეს საუკუნოდ გემშვიდობებით ბესარიონ ჟღენტს, საქართველოს ღირსეულ შვილს, ჭეშმარიტად ღვაწლმოსილ კაცს, მთელ საბჭოთა კავშირში კალმით და მჭევრმეტყველებით სახელგანთქმულ ქართველ მწერალს, კრიტიკოსს, ლიტერატურის მეცნიერს.

შეწყდა ბესარიონ ჟღენტის ცოცხალი სიტყვა. დღეს, ბლოვის საათებში ამ სამწუხარო ამბავს ჩვენ შესაძლოა სათანადო ანგარიშს ვერც კი ვუწევდეთ და ეს დანაკარგი ხვალ-ზეგ უფრო მეტად ვიგრძნოთ და განვიცადოთ, როცა ამ სიტყვას ჩვენს საქმეში დავისაკლისებთ.

ბესარიონ ჟღენტის დაკარგვით გამოწვეული დანაკლისი ერთი იმ დიდი დანაკლისთაგანია, რაც არა მარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა მწერლობას მისი განვითარების გზაზე, ათეული წლების მანძილზე განუცდია. იგი იდგა ჩვენი ახალი, საბჭოთა ლიტერატურის ყალიბების სათავეებთან და მასთან ერთად, მასთან სისხლხორცეულ კავშირში ღირსეულად განვლო მთელი ეს დიდი გზა, როგორც ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთმა შესანიშნავმა შემოქმედმა, როგორც ამ მწერლობის ერთ-ერთმა მაღალნიჭიერმა მესვეურმა და ორგანიზატორმა.

ბესარიონ ჟღენტის დაუბერებელი, დაუქანცველი სულიერი და ფიზიკური ენერგია, მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ინტერესები სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც ისევე აოცებდა მის უახლოეს მეგობრებს, როგორც ათეული წლების წინ, როცა იგი ამ ენერგიას და ინტერესებს სახალხო პირველად ამჟღავნებდა საბჭოთა მწერლობის მტკიცე საფუძვლების ჩაყრისათვის ბრძოლაში.

ათეული წლების მწვავე ლიტერატურულ, თუ სახელოვნო კამათებში იგი ყოველთვის მხარს უჭერდა პროგრესულსა და მოწინავეს, მაღალსა და ნიჭიერს, ნათელსა და ოსტატურს, ნამდვილსა და საჭიროს, ბუნებრივსა და უშუალოს. ეს თვისება აკავშირებდა მასთან არა მარტო ჩვენი საუკუნის მწერლობის საუკეთესო მოღვაწეებს, არამედ ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ოსტატებსაც და არა მარტო ქართველ, არამედ მთელი საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსაც. ბესარიონ ჟღენტის მეგობართა წრე, საქართველოს გარეთაც, ვლადიმერ მაიაკოვსკიდან მოყოლებული უსაზღვროდ მრავალრიცხოვანი იყო. მან თავისი შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდ გზაზე მრავალი მეგობარი შესძინა ჩვენს რესპუბლიკას, როგორც დიდი რუსეთიდან, ისე მოძმე რესპუბლიკებიდანაც.

წავიდა ჩვენგან ქართული საბჭოთა მწერლობის ცოცხალი მატიანე და მისი მეამატიანეც.

ირაკლი აბაშიძე.

კრიტიკოსი-ტრიბუნი!

შეწყდა გამოჩენილი კრიტიკოსის, ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, უნიჭიერესი ლიტერატურათმეტყველისა და თეორეტიკოსის ბესარიონ ჟღენტის მგზნებარე გულისცემა. ჩვენმა ლიტერატურამ დაკარგა მწერალი, რომელმაც მისთვის ესოდენ ბევრი გააკეთა, საქართველომ დაკარგა სახელგანთქმული შვილი, რომელსაც იგი უყვარდა მხურვალედ და რომლის აყვავებას მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ პირველად გამოჩნდა ბესარიონ ჟღენტი ლიტერატურულ ასპარეზზე. ნახევარ საუკუნეზე მეტი იბრძოლა და იშრომა მან ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის განდიდებისათვის. მისმ დაუღალავი, ბობოქარი ცხოვრება მთლიანად შეეწირა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ინტერესებს, მის წინსვლას, ზრდასა და აყვავებას.

შეუძლებელია დაიწეროს ჩვენი მწერლობის, ჩვენი თეატრის, ჩვენი დრამატურგიის ისტორია ბესარიონ ჟღენტის გვერდის ავლით. იგი თვითონ ქმნიდა ამ ისტორიას და არცერთი მისი მწვავე პრობლემა მხედველობიდან არ გამორჩენია. მხოლოდ მის შეეძლო ლიტერატურის ყოველ ახალ მოვლენას ისე სწრაფად გამოხმაურებოდა, მომენტი დაეჭირა და შეფასებაც პირველს მიეცა.

არ დარჩენილა არცერთი ქართველი მწერალი, რომელსაც ბესარიონ ჟღენტი არ შეხებოდეს. ქართული კლასიკური ლიტერატურის წინაშეც მას ვალი მოხდილი აქვს. ბესარიონ ჟღენტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსულ საბჭოთა ლიტერატურასთან, მის დიდ წარმომადგენლებთან. ქართველ ლიტერატორთა შორის ყველაზე უკეთესად მას შეეძლო გაეანალიზებინა მეგობრობა მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში და ინტერნაციონალური ძმობის საკურთხეველზე ურთიერთ-სიყვარული ეჭადგებინა!

ტრიბუნაზე ბესარიონ ჟღენტის გამოჩენა ყოველთვის იწვევდა ფართო მსმენელი აუდიტორიის სიხარულს, აღფრთოვანებას, აღტაცებას! მას ჰქონდა ბრწყინვალე ორატორული ტალანტი.

პრაქტიკულ მუშაობაში ბესარიონ ჟღენტი იყო თავდადებული, უანგარო, ძმეული სავსე, დაუღალავი და შეუპოვარი. ის უეჭველად იყო მთელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ლიტერატურული კრიტიკოსი.

ძნელია შეურიგდე მეგობრის დაკარგვას, მაგრამ იძულებული ხდები სთქვა ულმობელი სიტყვა: მშვიდობით!

გიორგი ჯიბლაძე.

მშოგლიური კულტურის თავკაცი

ქართული თეატრი აუნაზღაურებელი დანაკლისის გრძნობით ეთხოვება ბესო ჟღენტს — მშობლიური კულტურის ერთერთ თაგკაცს, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე განუმეორებელი ორატორული მგზნებარებით, რაინდული მებრძოლის სულისკვეთებით, თანადროულობაში გარკვევის საოცარი აღღოთი, მკაცრი მომთხოვნელობისა და კეთილმსურნე კრიტიკოსის ბრწყინვალე ნიჭიერებით და, რაც მთავარია, საბჭოთა მხატვრული შემოქმედებისადმი ფანატიკური რწმენით ემსახურა თავის ქვეყანას.

ბესო ჟღენტი ქართული თეატრალური კულტურის მშენებლობაში ეკუთვნის მარჯანიშვილის, უახლოესი და უერთგულესი თანამოსაგრე იყო და თუ ოციანი წლების შემოქმედებითა ასპარეზობაში ქართულმა კოლექტივმა ისეთ მწვერვალებს მიაღწიეს, რომ მსოფლიო აღიარება ქმოვეს, ამაში საგრძნობი წვლილი ბესო ჟღენტის კრიტიკულ აზრს და მის დაუცხრომელ მოღვაწეობას მიეკუთვნება. ბესო ჟღენტი მუდამ და ყველგან, ტრიბუნიდან და პრესის ფურცლებიდან ღირსეულად წარმომადგენლობდა ქართულ სასცენო ხელოვნებას და მის მიღწევებს ბრწყინვალედ აშუქებდა. ათეული წლების მანძილზე ის ლიტერატურულთან ერთად თეატრალურ კრიტიკას მესვეურობდა ყოველი სცენის შემოქმედ გრძნობდა, თუ მის შემოქმედებითს შეგმართებასა და მხატვრულ ძიებაში რამდენად ძვირფასი და აუცილებელი იყო კრიტიკოსის მზრუნველი მხარდაჭერა და ამასთანავე რამდენ ნაყოფიერი — მისი პრინციპული ბრძოლა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც შეაფერხებდა თეატრის წინსვლას და განვითარებას.

დიმიტრი ჯანელიძე.

ბელგიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ინფორმაციით

ბელგიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ინფორმაციით

პატიოსანი ამერიკის ხმა

დამთავრდა საპროტესტო კონტინენტური ლაშქრობა

ვაშინგტონი, (საკდესი). მწვანე კორდი პენტაგონის პირქუშ ჩრდილოეთ ფარდებშამფრფიალებულ ფანჯრებიანი შენობის წინ აჭრელებულია პლაკატებით: „პური და არა ბომბები!“ „მშვიდობა — ბედნიერება და აღმშენებლობა!“ „ომი ნიკვდილი და ნგრევაა!“ „ბოლო მოვუღოთ სიღატაკესა და რასიზმს!“. ასეთი ლოზუნგებით დამთავრდა უკანასკნელი დღე „განიარაღების და სოციალური სამართლიანობისათვის კონტინენტალური ლაშქრობისა“, რომლის მონაწილეთა სამი დღის წინათ ჩამოვიდნენ შეერთებული შტატების დედაქალაქში.

მშვიდობისათვის მებრძოლი, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის 25-ზე მეტი ორგანიზაციის, ახალგაზრდობის, ქალთა, პროფკავშირული და რელიგიური ორგანიზაციების ინიციატივით გამართულმა თავისი მასშტაბით ამ უმაყალითო გამოსვლამ გააერთიანა ქვეყნის მოსახლეობის უფართოესი ფენების წარმომადგენელნი. ლაშქრობაში, რომელიც 31 იანვარს დაიწყო სან-ფრანცისკოში, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის, სხვადასხვა ასაკისა და კანის ფერის მრავალმა ათასმა ამერიკელმა, თითქმის 13 ათასი კილომეტრი ოცდათხუთმეტ შტატსა და 25 უდიდეს საქალაქო ცენტრში გაიარეს მათ, რათა გამოეთქვათ ამერიკელი ხალხის აღშფოთება მთავრობის პოლიტიკის გამო, რომელიც გამალებულ შეიარაღებას უპირატესობას ანიჭებს უმუშევრობის, შიმშილის, სიღატაკის, ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის წინაშე.

...ლაშქრობის მონაწილეთა კიდევ ერთმა კოლონამ გაიარა მემორიალურ ხიდზე და გაემართა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს შენობისაკენ.

პენტაგონის კიბეებთან იწყება მიტინგი. გულისწყრომით აღსავსე მიტინგზე ვამოსულთა სიტყვები.

დინამიკების მეოხებით შორს გაისმის „კონტინენტალური ლაშქრობის“ დეკლარაციის ტექსტი, რომელიც მიმართულია პენტაგონის შეფებისადმი?“.. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ხარჯავენ სახსრებს, რომლებიც საჭიროა საბინაო მშენებლობისათვის, კვებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, ბავშვებზე ზრუნვისათვის, განათლებისათვის, შრომაზე მოწყობისათვის... ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები კვლავ ამრავლებენ და იყენებენ დაშინების იარაღს, რათა დაიმორჩილონ სხვა ხალხები... ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალის მხარს უჭერენ დიქტატორულ და ფაშისტურ რეჟიმებს...“

60-იანი წლების ომის საწინააღმდეგო სიმღერების აკომპანიმენტით დემონსტრანტები მიემართებიან შენობის შესასვლელისაკენ, რათა პენტაგონის ხელმძღვანელობას გადასცენ დეკლარაცია, ნაკი გზა გადაეღობა „არეულობასთან ბრძოლისათვის“ სპეციალურად გაწვრთნილ პოლიციელთა ქვეგანაყოფმა. მოკლე ბრძანება — და აი უკვე პოლიცია მიათრევს პირველ დაპატიმრებულებს ავტობუსისაკენ.

...„დემონსტრანტები განაგრძობენ გზას, მიდიან ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუ

„ლელა“ მოსკოვში

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები დაიწყო

„ლელა“ მოსკოვში“, „მზიური ხაჭართველოს ხელოვნება“ — ასეთი სათაურებით ძველსაბჭო მოსკოვის გაზეთები თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების დაწყებას ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

მოსკოველები კარგად იცნობენ ამ თეატრს. იციან, რომ თეატრის კოლექტივი ემზადება აღსანიშნავ ძნიშვნელოვანი თარიღი — თეატრის დაბადების 125-ე წლისთავი. სხვადასხვა დროს დედაქალაქის მაყურებელმა და პრესამ ძალიან შეფასება მისცეს ქართულ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს „აბესალომ და ეთერს“, „დაისს“, „ოტელოს“, „გოროდას“... ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი ინტერესი და უყურადღება, რომელიც გაჩნიოთ ამ ბოლოს ჩვენი საოპერო კოლექტივის ახალი სპექტაკლისადმი...

კ. ტანისლავსკის და ვ. ნემეროვიჩ-დანჩენკოს სახელობის აკადემიური მუსიკალური თეატრის შენობაში, სადაც 19 ოქტომბეს დაიწყო გასტროლები, უჩვენებს კომპოზიტორ რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“. სპექტაკლი წარდგენილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

მწყობრად ეფერდა ორკესტრს გ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის, სჯანელოს სახალხო არტისტების მ. ამირანაშვილის, ი. შუმახის, ოპერის სოლისტის ჯ. მდივნის სიმღერას გულისყურით ისმენენ დარბაზში. იგრძნობა, რომ ლენინურ და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრები, რომლებიც სპექტაკლს ესწრებიან, მკაცრ გამოცდას ატარებენ. მთავრობა სპექტაკლი... სკენა ცოცხალი ყვავილებით ივსება. ბევრჯერ აიწია ფარდა, რაც თავისთავად დიდ წარმატებას ამოწმობს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩვენ გავეთ „კომუნისტს“ მკითხველებისათვის რამდენიმე ინტერვიუ ავიღეთ:

ნ. ბიხონოვი — სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი: დღეს, ამ ცივ და სუსხიან დღეს მე აღსავსე ვარ ქართული ხელოვნების სითბოთი. დიდებული სპექტაკლია, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა.

ს. სპერანსკი — საბჭოთა კავშირის სახალხო არქიტექტორი, პროფესორი, ლენინგრადის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე: დიდი პატივისმცემელი ვარ ქართული კულტურისა და ხელოვნებისა. დღეს კიდევ ერთხელ გავეცანი ახალი სიამოვნება. მიხარია, რომ თეატრში გრძელდება ზ. ფალიაშვილის და ვ. მიქელაძის ტრადიციები. ვულოცავ რ. ლაღიძეს და მთელ კოლექტივს ბრწყინვალე სპექტაკლს.

— ვ. კუხარსკი — საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე: მოსკოველებს, ალბათ ჯერ არ განელებიათ რუსთაველელთა სპექტაკლებიდან მიღებული თბილ ტალღები, და აი კიდევ ასეთი მძვინვარე ოპერა მსოფლიო დიდხანს სიცოცხლე და გამოჯანმრთელება ვუსურვო სპექტაკლს!

ვლ. ფედოსეევი: — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრის მთავარი დირიჟორი: ჩვენთვის დღეს ხელმორედ დაიბადა ჩინებული კომპოზიტორი რ. ლაღიძე, რა სათუოდ ინახავენ და უფრთხილდებიან საქართველოში საუცხოო მუსიკალურ ტრადიციებს!... გულით ვულოცავ გ. აზმაიფარაშვილს, ზ. ანჯაფარიძეს, მ. ამირახანაშვილს, ჯ. მდივანს სასიამოვნო ახალბლის შექმნას.

ზიგფრიდ კიოლერი — (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ქალაქ საარბრიუკენის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი: ჩემთვის ქართული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალება დაუსრულებელი ზეიმია. ასე იყო ჩვენს მიჩა-ჩაყალზე, გერმახანაში, ასე იყო საქართველოში, ასე არის დღესაც მოსკოვში.

პერმან ვედეკინდი — (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ქალაქ საარბრიუკენის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი: ვულოცავ ოპერა „ლელას“ ყველა მონაწილეს დამსახურებულ წარმატებას.

ბ. სვირიდოვი — სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი: „ლელა“ — სრულიად თანამედროვე ოპერაა, საოცრად მელოდიური. მომწონს მხატვრობა, სპექტაკლის დადგმა.

ბ. კოროლი — ბელორუსიის სსრ მშენებლობისა და არქიტექტურის კომიტეტის თავმჯდომარე, „ლენინური პრემიის ლაურეატი: ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღმოცენებული ოპერა საოცრად თანამედროვე ყღერადობით გამოირჩევა. მეტიკის ძლიერად ბუნებას ქართული ბუნების საქყარიდან გადავყავართ...

ჩვენი საზოგადოებრიობის რამდენიმე თვალსაზრისი წარმომადგენელს აზრები კარგად გამოხატავს დარბაზში შექმნილ გაწყობილებას და ემოციებს. ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრეს კი ამ დროს საქმიანი საუბარი ჰქონდათ, რომელიც კიდევ ცალკეც გაიმართება და რომლის ეფექტებს მოგვიახლოებით შევიტყობთ. ჯერ კი თბილისის საოპერო თეატრი მოსკოვში გასტროლებს აგრძელებს.

სპექტაკლ „ლელას“ ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი თანამეგზავრი ამბ. ზ. ჩხეიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამბ. შ. კიკნაძე.

დ. მაჰავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი, 20 ოქტომბერი.

ბათუმი. სურათზე: ბ. ჭავჭავაძის ქუჩა დღეს.

შ. ჩხეტიანის ფოტო

ევროპის თასების მფლობელთა თასზე

მოულოდნელი შედეგი

„დინამო“ (თბილისი) — მტკ (ბუდაპეშტი) — 1:4 (0:1).
20 ოქტომბერი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

მსაჯი — კონსტანტინე გიშა, თანამსაჯები — კონსტანტინე ბარბუშესკუ და ანდრეი ტუდორი (ყველა — რუმინეთი).

„დინამო“ — გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებერალიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე (დვალიშვილი), დარასელია, წერეთელი.

მტკ — გაშარი, სიგეტი, ჩეტენი, ნიირე, კოვაჩი, ჩორნა, ტოკაჩი, შიკლოში, კიში, ბორშო, კუნსტი.

თამაშის წინ

თამაშის წინა დღით გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც წარმართავდა უნგრეთის კომენტატორი იანოშ სენი. პრეს-კონფერენციაზე ბუდაპეშტის მტკ-ს მწვრთნელმა მიხაი კეტჩემ უპასუხა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. აი ზოგიერთი მათგანი:

— რა იცით თბილისის „დინამოს“ შესახებ?

— ჩვენ ვიცით, რომ თბილისის „დინამოს“ წარსულში ფეხბურთელთა დიდებული პლეადა ქყავდა. ამჟამად ვიცნობთ იმ ფეხბურთელებსაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებში ვამოდიან, კერძოდ ბუდაპეშტში ახალგაზრდული ნაკრებთა მატჩში ვნახე ყიფიანი და გუჩაევი. ჩვენ ვიცით მასპინძელთა გუნდის დიდი პოტენციური შესაძლებლობა.

— რას აპირებთ ხვალინდელ თამაშში?

— იმედი გვაქვს ისეთ შედეგს მივაღწიოთ, რომ ბუდაპეშტში საბოლოო წარმატების საშუალება მოგვეცეს.

— ჩემპიონატის დასაწყისში თქვენი გუნდი წარუმატებლად გამოდიოდა, რა იყო ამის მიზეზი?

— მხოლოდ და მხოლოდ, რომ იტყვიან, სპორტული უიღბლობა. ჩვენ მაშინ ისეთივე დონეზე ვთამაშობდით, როგორც ახლა.

— რომელია თქვენს გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლი?

— ჩემს გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლი იწყება პირველი ნომრით და თავდება მეთერთმეტით. ამაში მაყურებელი თვით დარწმუნდება.

— როჯორ მოგვწონთ თბილისის „დინამოს“ განახლებული სტადიონი?

— მოფლოსის მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, უდიდესი სტადიონები მინახავს, თქვენი სტადიონი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ჩვენი მხრივ გვინდა მეითხველებს ვაცნობოთ, რომ უნგრეთის ჩემპიონატში ცხრა ტურის შემდეგ ქვეყნის ნაკრების საბერნეთსა და ავსტრიაში გამგზავრების გამო მცირე შესვენება გამოცხადდა. ეს შესვენება მტკ-მ გამოიყენა კიდეც — ათენში ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ აეკ-თან (მოსკოვის „დინამოს“ ამსწინანდელი მეტოქე უეფას თასზე). პირველ ტაიმში ბერძნები წინ იყვნენ (ანგარიშით — 3:1), მაგრამ შეხვედრა საბოლოოდ მაინც ფრედ დასრულდა — 4:4.

თამაშის დროს

თბილისის „დინამოს“ სულ სამჯერ აქვს ნათამაშევი უნგრეთის გუნდებთან, სამივე შეხვედრა თბილისში გაიმართა და სამივე მასპინძლებმა წააგეს. ამრიგად, დინამოელთათვის უნგრელი ფეხბურთელები „უსერხული“ მოწინააღმდეგენი არიან.

გუშინ ბუდაპეშტის მტკ-სთან საჭირო იყო გამარჯვება, თანაც დიდი ანგარიშით, რათა სტუმრად განმეორებით შეხვედრაში თბილისელებმა მეთხუდფინალში თამაშის უფლება მისცემოდათ.

მაგრამ დინამოელებმა იმედი ვერ გაამართლეს. პირველ ტაიმში მიუხედავად თბილისელთა ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობისა, ბურთი მაინც მასპინძელთა კარში გავიდა. ეს მოხდა თამაშის 31-ე წუთზე შიკლოშის თაური დარტყმით 49-ე წუთზე კოპალეიშვილს ანგარიშის გაქვითვის რეალური შესაძლებლობა ეიცა, მაგრამ... ორიოდე წუთის შემდეგ ბურთი კვლავ მასპინძელთა კარში აღმოჩნდა. გაიტანა ტოკაჩმა. 76-ე წუთზე კვლავ ტოკაჩმა მიაღწია წარმატებას. ხოლო მეთხუჯერ დინამოელთა კარის ბადე თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კიშმა შეარხია. მხოლოდ მატჩის მიწურულს მაჩაიძემ მოახერხა ერთი გოლის გაქვითვა. ამრიგად თბილისელთა გასვლა გათამაშების შემდგომ ეტაპზე ძალზე გართულდა.

თამაშის შემდეგ

მატჩის შემდეგ გაიმართა ტრადიციული პრეს-კონფერენცია, რომელსაც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

აი რა თქვეს მოსასპარეზე გუნდების მწვრთნელებმა.

მიხაი კეტჩეი: მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ბიჭებმა გაიმარჯვეს ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიც თბილისის „დინამოა“ და თანაც მის მოედანზე. გამოგიტყდებით, ასეთ ანგარიშს არ მოველოდი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ჩვენს ამ გამარჯვებაში გარკვეული როლი სპორტულმა იღბალმაც ითამაშა.

ნოდარ ახალკაცი: ჩვენი ამოცანა იყო ბურთი თამაშის დასაწყისშივე, დაახლოებით 15-20 წუთში გაგვეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. მტკ ბრძოლისუნარიანად, ტექნიკურად და ტაქტიკურად სწორად თამაშობდა. არ მინდა წარუმატებლობა დავაბრალო ტრავმირებულ ყიფიანის, გუცაევისა და კანთელაძის არ ყოფნას, მაგრამ იმათაც, ვინც მოედანზე იყო, ვერ გაამართლეს იმედები. განსაკუთრებით უკმაყოფილო ვარ დაცვის ხაზით. ვეცდებით 3 ნოემბერს მივაღწიოთ ხასურველ შედეგს.

გ. ბახტურიძე.

ევროპის თასეგზე

გუშინ ევროპის სტადიონებზე დიდი საფეხბურთო ღონისძიება იყო. კიევის „დინამო“ მერეედფიცალერ პირველ მატჩში ჩემპიონთა თასზე მასპინძლობდა სპერანდონოთის ქალაქ სალონიკის პაოკ-ს. თამაში დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით — 4:0.

შეფსა-ს თასის გათამაშებაში დონეცკში ადგილობრივ „შახტიორს“ მეთექვსმეტედფინალური მატჩის პირველი შეხვედრა ჰქონდა ბუდაპეშტის „ჰონვედთან“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3.0.

რას გვიქადის ფინიში

დასკვნითი 5 ტურის წინ მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში ძლიერ ბუნდოვანია. საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის საშუალებას, სულ ცოტა შვიდ მოხაწილე მიიღე ინარჩუნებს.

მეთორმეტე ტურმა მსოფლიოს ჩემპიონ გაფრიდაშვილთან ოვენებით მოთამაშე ზატულოვსკაიან საკუთარი უიმედო პოზიცია მიიღო. მისი მეფე ცენტრში დარჩა, ფიგურები გათიშული აღმოჩნდეს, პაიკთა განლაგება — დასუსტებული. თუმცა ამმდეგში ზატულოვსკაია შეუპოვრად თამაშობდა, ძლიერ მარეობის ხსნა ვერ შეძლო. პარტია გადაიდო გაფრინდაშვილის აშკარა უპირატესობით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი ნიკიერი ახალგაზრდა მოსკოველი ოსტატის ანზაოურმოვის და ზაიცევის შეხვედრას. ანზაოურმოვა მთლიოდ ხახეკარი ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს და გამარჯვებისაკენ ისწრაფოდა, მდგომარეობა საგრძნობლად გამარტივდა, მაგრამ თეორიებმა მაინც შეიხარჩუნეს უპირატესობა, მათ ლაზიერის ფოთაზე ზედმეტი პაიკი ჩაკონდა, რასაც ამგვარ პოზიციებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ზაიცევი ბეგრს ეცადა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო — გადადებულ პოზიციაში მას ორი პაიკი აკლია.

ისევ ძველი მეტოქეები — ალექსანდრია და ლევიტინა! ალექსანდრიას სატურნიროო მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ მან დარჩენილ შეხვედრებში მხოლოდ მოგებისათვის უნდა იბრძოლოს. ამჟამად თბილისელმა მოგვადრაკემ ამკარად აჯობა მეტოქეს, ძლიერ და მსუბუქი ფიგურები შეიერა შავების განლაგებაში და მოიგო. სხვა პარტიებში ბრძოლა ჯერ გაჩაღებულიც არ იყო, ოოდესაც სემიონოვამ სძლია ეკატერინა ანზაოურმოვას, ფომინამ ბოლო 4 ტურში 3 ქულა მოაგროვა — ამჟამად კისლოვის სძლია. ბელე